ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №2450714

ნომერი: AR1379596

თარიღი : 18.02.2016

გაცემის თარიღი : 24.02.2016

გაცნობის თარიღი : 24.02.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ხევძმარის , N33-35 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით მჟავანაძე პ/ნ 01019008924
- თბილისი თმოგვის I შეს. N 12

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

## ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 25.05.2015 წლის №1913328 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 18/02/2016 წ.

AR1379596 განაცხადით მომართა დავით მჟავანაძემ და მოითხოვა ცვლილების განხორციელება ამავე სამსახურის 25.05.2015 წლის №1913328 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 25.05.2015 წლის №1913328 ბრძანებით, ქ. თბილისში, ხევძმარის ქუჩა #33–35, შპს ,,D & D" საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ. N 01.11.17.001.044) შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი.

განმცხადებლის განმარტებით, შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლებში არის უზუსტობა, რის გამოც დღეისათვის, განმცხადებელი ითხოვს გასწორდეს ტექნიკური შეცდომა სამსახურის 25.05.2015 წლის №1913328 ბრძანებაში კერძოდ: საზაფხულო ფართობად დაფიქსირდეს (კვ.მ).:1446.3, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად (კვ.მ).: 917.4, დამხმარე ფართობად (კვ.მ).: 22.0 და საერთო ფართობად (კვ.მ).: 13434.0.
ასევე წარმორგენილი აქვს შესწორებული 43.70 და +8.50 ნიშნულების გეგმები.

სამსახურმა შეადარა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტს და დაადგინა, რომ კორექტირებული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეესაბამება შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან დაშვებული იქნა შეცდომა, რაც შესაბამისად აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია შეიტანოს ცვლილება ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში, ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების განსაზღვრისა და +43.70 ნიშნულისა და მე–3 სართულის გეგმების ნაწილში.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 25.05.2015 წლის №1913328 ბრძანებაში, კერძოდ: საერთო ფართობად დაფიქსირდეს (კვ.მ).:13434.0, საზაფხულო ფართობად დაფიქსირდეს (კვ.მ).:1446.3; დამხმარე ფართობად დაფიქსირდეს (კვ.მ).:22.0 და კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად დაფიქსირდეს (კვ.მ).: 917.4.
ამასთან, 25.05.2015 წლის №1913328 ბრძანებით შეთანხმებული +43.70 და +8.50 ნიშნულების გეგმები ჩანაცვლდეს 18/02/2016 წ. AR1379596 განაცხადით წარმოდგენილი +43.70 და +8.50 ნიშნულების გეგმებით.

2. დანარჩენ ნაწილში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 25.05.2015 წლის №1913328 ბრძანება დარჩეს უცვლელი;
3. აღნიშნული ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 25.05.2015 წლის №1913328 ბრძანებასთან ერთად;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: შარტავას ქ. №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.